# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 83

წელიწადი მეორე

1913

ოთხშაბათი, 19 ივნისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И“.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

**იმერეთი**

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“ Василію М. Чепидзе.**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

## ОБЪЯВЛЕНІЕ.

По случаю отъѣзда, продаются 5 россійскихъ коровъ хорошаго завода и 3 телятъ.

Адресъ: Ивановская улица, Старо-Лютеранское кладбище, Кутаисъ.

Съ почтеніемъ **Матушемъ.**

## განცხადება.

რადგან მივდივართ, ვყიდით 5 რუსულ ძროხას კარგი ჯიშისას და 3 ხბოს.

მისამართი: ივანოვის ქ. ძველი ლიუტერანის სასაფლაო, ქუთაისში.

პატივისცემით **მატუშემი.**

## სტუდენტი ტეხნოლოგი

ამზადებს მოსწავლეებს ყველა საგნებში საშვალო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. ასწავლის ფრანგულ და ლათინურ ენისა. მოსალაპარაკებლათ ვღებულობ მსურველებს ყოველდღე დილის 9 საათიდან ნაშვადღევის 2 საათამდე შემდეგი მისამართით: მიხაილოვის ქუჩა, სახლი მიხეილ წულეისკირისა № 91, წითელი ხიდის ახლოს, იკითხეთ სტუდენტი ტეხნოლოგი.

## განცხადება.

ამა მთავრიშვილის წიგნის მაღაზია 18 ივნისიდან გადადის იმავე ქუჩაზე ივანე ბოკერიას სახლში, ბულვარის პირდაპირ.

## სამტრედიის სამზვითო კასის გამგეობა

23 ივნისს, ნაშვადღევის სამ საათზ

## იწვევს

კასის წევრებს საგანგებო კრებაზე დასასწრებლათ კასისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტათ.

ფარნა ბეჟანის ძე გაბუნია

ქუთაისი

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა

## გადავიტანე

საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.

მიღებულია დიდძალი საქონელი, იყიდება ჰარტიით და წვრილათ.

პატივისცემით: **ფარნა ბ. გაბუნია.**

## ქუთაისი.

პაებზე დამყარებული ამხანაგობა

· კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.

გაჯაფხულისა.

## და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

შინაგან სნეულებათა

**აქიმი ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**აქიმი ი. ჩარექოვი** ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

**აქიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**აქიმი ვ. ა. ჰოლოშვილი** აცხადებს, რომ ავათმყოფების მიღება განაახლა. მისამართი მწვანე ბაზარი, საკუთარი სახლი.

**აქიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

კბილის

**აქიმი ანა ბუტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით

**აქიმი ვ. ი. ფეშინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**აქიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშვებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.


## დღიური.

სალონიკში ბერძნებმა ბულგართა სადგომები გაჩხრიკეს, იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება ამოაჩინეს.

— ცნობაა,—რუმინიამ შეუთვალა ბულგარეთს, თუ სერბიასთან ომს ასტეხ, მეც გამოგიცხადებ ომსო.

— ზლატოვის მიდამოებში სერბიელებსა და ბულგარლებს შორის შეტაკება კიდევ ხდება.

— ბულგარლებს საბერძნეთის ნეიტრალური საზღვარი უნდოდათ გადაელახათ, მაგრამ ბერძნებმა სროლა აუტეხეს და უკან დაახევიეს.

— კალკუტიდან ცნობაა—კალარიაში რამდენიმე ინდუსი საზოგადო-საკულტურო საზოგადოებათა წევრი ყუმბარით მოკლესო.

— სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს 22 ივნისს დაითხოვენ.

— მთაშავეთისა და საბერძნეთის მთავარი მინისტრები სერბიის სატახტო ქალაქ ბელგრადს მივიდენ.

— რუსეთის პეკინელმა ელჩმა ჩინეთის მთავრობას ამ მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ მოხსენება წარუდგინა.

— იასნო-პალიანის გლეხები ტოლსტოის იასნო-პალიანაში ძეგლს უგებენ.

— სათათბიროს თავჯდომარეს წესიერების დაცვის მიზნით, „ზემშჩინის“ რედაქტორისა და მის თანამშრომლისათვის სათათბიროს სხდომებზე დასწრება, აუკრძალავს.

— 12 ივნისს მინისტრთა საბჭომ ბეჭდვითი სიტყვის წესების პროექტი განიხილა.

## ჩვენი სალიტერატურო ძალები.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირათ იბეჭდება წერილები ჩვენი ლიტერატურის დაკნინება-დაუძლურებაზე. ხშირათ ისმის მოთქმა-გოდება ჩვენი ლიტერატორების მდგომარეობაზეც, ხოლო ეს გოდება გოდებითვე ბოლავდება და საქმეს არა ემატება რა.

ლიტერატურა და სალიტერატურო ძალების მდგომარეობა იმდენათ დიდმნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ მის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა ყველასთვის საინტერესოა.

ხოლო, რაც ჩვენისთანა დაჩიავებულ ერს ახასიათებს, ამ საგანზე, განსაკუთრებით სალიტერატურო ძალებზე ლაპარაკს ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიწყებთ, როდესაც—როგორც იტყვიან—ურემი უკვე გადაბრუნებულია, როცა მოვლენას თავისი სამწუხარო შედეგით სილა გაუწნავს ჩვენთვის.

როცა გადაიცვალა ჩვენი პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე, ქართულ-რუსულ პრესაში გამოჩნდენ აქიმები, რომელნიც არჩილის დაკარგვას უკავშირებდენ უმთავრესათ სიღარიბეს, ნივთიერ შეუძლებლობას.

დროზე ვერ მოვუარეთ, საშვალება არ მივეცით, დავაჭლექეთ და დავაუძლურეთ ლიტერატურით გატაცებული ძალაო—აი, რას ვისმენდით არჩილის ჯერ კიდევ გაუცივებელ ცხედარის წინ და რასაც მუდამ ვისმენთ, როცა მართლა ნიჭიერი მწერალი გვეცლება ხელიდან. დიახ, ასე იყო ძველათ, ასევეა ახლაც.

ბოლოს და ბოლოს ამ გოდება-ჩივილის საძირკველი—სალიტერატურო ძალების ნივთიერ-ეკონომიური სიღატაკე, მართლა, რომ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მწერლის შემოქმედებაში და ამიტომ ჩვენც ამ მხრიდან შევეხებით საკითხს.

ეჭვი არაა, მწერლის ნივთიერი მდგომარეობა ერთი აუცილებელი პირობათაგანია მისი ნაყოფიერობისთვის. ჩვენს მწერალთა ტრაღიკული ცხოვრება აუარებელ მასალას იძლევა იმის საილიუსტრაციოთ, რომ ნივთიერ საშვალებების გამო ხშირათ ლიტერატურასაც შორდება მართლა ნიჭიერი და ღრმათ განვითარებული მოღვაწენი, ზოგნი კიდევ მოხელეობას ეწევიან და მით საუკეთესო დროს ანდომებენ კანცელიარულ მუშაობას, რაიცა ფატალისტურის აუცილებლობით რყვნის და ალაყებს ადამიანის აზროვნების უნარს და მით ძალაუნებურათ ასალმებს ლიტერატურას.

რომ უკეთ დაფასებული იქნას ნივთიერი პირობების მნიშვნელობა ჩვენს მწერალთა ნაყოფიერობისთვის, საკმაოა გავიხსენოთ, რომ თითქმის ყოველი ქართველი იდეოლოგი, განურჩევლათ პარტიისა, გამოზდილ-გავაჟკაცებულია მეცენატთა ფილანტროპიით, თუ იდეოლოგი მოკლებულ იყო თავის საკუთარ საშვალებებს.

ამნაირათ, მწერლის ნივთიერი მდგომარეობა მართლაც რომ გადამჭრელ როლს ასრულებს მის მოღვაწეობაში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მწერლები დაინტერესებული იყონ, რამდენათაც შესაძლოა, ამ მხრით მათი მუშაობა თავისუფალი და და დამოუკიდებელი იყოს.

მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ერის არცერთი ძალა ისე არ დაუმორჩილ-დაუმონავებია ეკონომიის საკითხს, როგორც ჩვენი სალიტერატურო ძალები. ჩვენ არ ვეკუთვნით იმ ფანტაზიორ-იდეალისტების ჯგუფს, რომელნიც საკმარისათ ცნობენ სურვილის არსებობას, რომ კეთილი განწყობილება დამყარდეს ცხოვრებაში. ჩვენ ღრმათა გვწამს და ვიცით, რომ თანამედროვე ჟურნალ-გაზეთობისა და მხარის საერთო ეკონომიური განუვითარებლობა—კრიზისში მარხია მიზეზი ასეთი სავალალო გარემოებისა, მაგრამ არც ისეთი დეტერმინიზმისა გვწამს რა, რომელიც ადამიანის შემოქმედებას „ნოლს“ უდარებს. ამიტომაა, რომ ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ საქართველოს თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ კრიზისშიც შესაძლებელია მოგვარება სალიტერატურო ძალების ნივთიერი მდგომარეობისა, სწორეთ ისე, როგორც ჩვენს ნამდვილ ინტელიგენციას არა ერთი და ორი კულტურული საქმე შეუქმნია და გაუჩაღებია თანამედროვე ცხოვრების დუხჭირ პირობებში.

ამიტომ ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ლიტერატორების ნივ-

თიერი სივიწროვს რამდენათმე თვით ლიტერატორების ინდიფერენტიზმის ბრალია, რომ ამ საქმეში თვით ისინი მცონარეობენ და ამიტომ თამამათ შეგვიძლია ამ შემთხვევაში პასუხი მოვთხოვოთ მათ.

და პასუხსაგები სილიტერატურო ძალებს ბევრი რამ აქვთ, თან ფრიად მძიმე რამეში.

მაგალითად?

ამის საპასუხოთ და საილიუსტრაციოთ უნდა შევეხო განსაკუთრებით ორი მწერლის ბედს, რომელთა სახეც გონებიდან არ გვშორდება და იქვი არაა არც მოგვშორდება, სანამ სცოცხლობს და ვითარდება ქართველი ერი. სახეში მყავს ყოვლად სპეტაკნი, ყოვლად უმწიკვლონი, ჩვენი ლიტერატურის ნამდვილი წმიდანები, ბელეტრისტი ეგნატე ინგოროყვა-ნინოშვილი და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე.

ეს ორი მწერალი, შეგვიძლია ვთქვათ, პირდაპირ დაღნა ჩვენს ხელში, ჩვენ თვალწინ, რისთვისაც წარმოუდგენლათ დიდი სიმდიდრე და ცნობიერობა მოაკლდა ისეც ღარიბს ჩვენს ხალხს.

მართალია, მე სრულებით არ ვიზიარებ იმ აქიმის მოსაზრებას, თითქოს არჩილ ჯორჯაძეს ნივთიერ სივიწროვეში არავინ ეხმარებოდა და თავისი მეგობრები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. არა, ჩვენ ფაქტებით ხელში შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ როგორც ეგნატე ინგოროყვას ისე არჩილ ჯორჯაძესაც მტლათ ედებოდენ მათი მეგობრები, მაგრამ როგორც ეგნატეს შესახებ მოგვითხრობს, განსვენებული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, „მეგობრები სულ ჯიბეცარიელები იყვენ და მისი გაჭირვებიდან გამოყვანა არ შეეძლოთ“...

მაგრამ მეგობრობაც ჩვენში მხოლოდ მაშინ მტკიცდება და საზოგადოება მწერლის პიროვნებით ღრმათ დაინტერესებული მხოლოდ იმ ხანაში ხდება, როდესაც მწერალი მომწიფებული ძალაა, როცა ის საკმაოთ გამოჩენილია და შემოქმედების მწვერვალს აწევს. აქამდი კი, ფორმაციისა და ჩამოყალიბების დროს, როდესაც ის საკმაოთ იჩენს თავის ლიტერატურულ ნიჭს, მწერალი ყოვლად უპატრონო ძალაა, ყოვლად მიგდებული, მივიწყებული, და სწორეთ ამ დროშივე იკალათებს მის არსებაში ისეთი საშინელი ავათმყოფობანი, როგორიცაა მაგ. ჭლექი ან სხვა...

განა ჩვენ არ ვიცით, რომ ეგნატე ინგოროყვა და არჩილ ჯორჯაძე საშინელი სენით დაავადებული იყვენ ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ქართველი ხალხი მათში არაფერს განსაკუთრებულს არ ხედავდა? როცა ჯორჯაძე იძულებული იყო პეტერბურგიდან გადასულიყო ვარშავაში, საზღვარგარეთ, როცა ჩვენში მოღვაწეობდა ეგნატე ინგოროყვა?

აი, ამ ხანში მე ვკითხულობ, ვინ უწევდა გამოჩენილს სალიტერატურო ძალებს იმ მზრუნველობა-დახმარებას, რომელსაც მათი ფიზიოლოგიური შენობა მოითხოვდა? და ძლიერ კარგათ ვიცით, რომ მაშინ მათი მფარველი არავინ იყო.

ასეთ დროს ასეთ ძალებს მფარველობა ვის უნდა გაეწია, თუ არა თვით ლიტერატორებს, რადგან ხალხს-როგორც მასობრივ მოვლენას—ფიზიკურათ არ შეუძლია ამ საქმის შესრულება—და ლიტერატორების ჯგუფი კი—როგორც ორგანიზაცია, როგორც იურიდიული პიროვნება არ არსებობდა, არ არსებობს დღესაც და ამიტომ დასნეულებულის, ხოლო გამოაშკარავებული ნიჭის დაფარვა ჩვენ ვერ შევიძელით, და ძლიერათ მოდებულ სენს ვინღა გაუწევდა წინაალმდეგობას?

ამ მხრით უნდა ავნუსხოთ ისიც, რომ ჩვენი მწერლები უკიდურეს ნივთიერ სივიწროეშიც კი დიდ სისპეტაკეს იჩენენ გარეშე მხრიდან დახმარების მიღების დროს. ეგნატე ინგოროყვა მაგალითად გაურბოდა ნ. ბ. ლოლობერიძეს, რომელიც აპირებდა მისთვის დახმარების ამოჩენას და თვით ისეთ სპეტაკ და პატივსაცემ პედაგოგისგან, როგორიც იყო იაკ. გოგებაშვილი, ნივთიერათ ღატაკი ეგნატე დახმარებას თაკილობდა. და სრულიად იგივე ითქმის არჩილ ჯურჯაძეზეც. ვის და ავიწყდება, რომ არჩილმა სულ უკანასკნელ დროს, როდესაც იგი დიდათ და დიდათ საჭიროებდა ნივთიერ საშვალებას, როდესაც მხოლოდ თავის ჯიბა-ცარიელი მეგობრების შემხედვარე იყო, „თემის“ შენიშვნა საბაბათ გაიხადა და თავის სისპეტაკის დასაცავათ ხელი აელო იმ მცირე დახმარებაზეც, რომელსაც იღებდა საზოგადოების მიერ დაარსებული ფონდიდან.

ეს მაგალითები მეტის მეტათ დამაფიქრებელი და დამახასიათებელია ქართველი მწერლის მდგომარეობისა, ფსიქოლოგიისა და ასეთ სულიერ ძალთა განწყობილებაში განა საჭირო და პირდაპირ აუცილებელი არაა ისეთი დაწესებულების შექნა, რომლის იმედიც შეუძლია იქონიოს სალიტერატურო ნიჭით დაჯილდოვებულმა მწერალმა და რომელსაც თამამათ მიმართავს გაჭირვების დროს? ჯერ კიდევ 1907 წელს „ივერია“-ში იაკობ გოგებაშვილი სწერდა: ახლა წარმოვიდგინოთ, რომ სალიტერატურო ფონდი ქონდა ჩვენს საზოგადოებასა; მაშინ ნინოშვილი არ ითაკილებდა, თავის დროზე მიმართავდა შემწეობისთვის ამ ფონდის გამგეობასა და იქნება დღესაც მომქმედი ყოფილიყო და ღვაწლიანი მისი ნიჭიერი კალამი.„

და ამას შემდეგ მიბძანეთ, ვინ უნდა შექმნას და დააარსოს ასეთი საზოგადოგადოება? გლეხ-კაცობამ? ჩვენმა მოინტელიგენტე მოხელეებმა? ვაჭრებმა? მრეწველებმა? თუ მხოლოდ და მხოლოდ ქართველმა მწერლებმა? და თუ ეს ასეა, მაშ ნუთუ არა გვაქვს უფლება პასუხის მგებელ სავარძელზე დავსვათ ეს მწერლები, როდესაც თავისთავსა და თავის მცონარეობით ან პასივობით საძაგელ პირობებში აყენებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალებს? ნუთუ მათ მართლა არ შეუძლიათ თუნდ იკობ გოგებშვილის მიერ აღსარებული სალიტერატურო ფონდის დაარსება, მისი ავტორიტეტულ დაწესებულებათ გადაქცევა,—როგორც ეს რუსეთშია, რომ ის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს ჩვენ მწერალთა ცხოვრებაში? და თუ კი ასეთი დაუყონებლათ საჭირო მნიშვნელოვანის, მაგრამ ადვილათ შესასრულებელი საქმის გაკეთება არ ძალუძთ, მაშინ რა უფლების ძალით უნდა გამოდიოდენ საზოგადო ასპარეზზე და მთელი კაცობრიობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ იღწვოდენ რთულის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების რეორგანიზაციისთვის?

ამ უკანასკნელ ხანში, ჟურნალმა „კლდე“-მ, „თემმა“, „სახალხო გაზეთმა“, „იმერეთმა“ და „მერცხალმა“ რამდენიმე საგანგებო წერილებით საჭიროთ დაინახეს ასეთი საზოგადოების დაარსება. ამ შემთხვევაში საკვირველი თანხმობა გამოიჩინა ყველა ჯურისა და მიმართულების გაზეთებმა, მაგრამ მითხარით, რა არის ეს აღსარებანი, თუ არა თავისი თავის გაწკეპლვა, როდესაც საქმის განხორციელება აუცილებლათ საჭიროთ მიგვაჩნია, ხოლო მის სასარგებლოთ პრაქტიკულათ არაფერს ვაკეთებთ?

სანამ უნდა გაგძელდეს ასეთი მდგომარეობა?

**თევდორე ღლონტი.**

# ახალი ამბავი

✦ ქ. ოლქის სასამართლოს განაჩენი: ჯაყელს, ქიქოძეს და ი. მაქაცარიას მიესაჯა: ყოველივე უფლებათა ახდა და ოთხი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, თითოეულს ერთი წლის გამოძიების დროს ჯდომის ჩათვლით.

კორძაიას ორი წლის და 6 თვის გამასწორებელი რაზმი. თალაკვაძეს ოთხი წლის გამასწორებელი რაზმი, ორ წლის ჩათვლით. თაყაიშვილს—ორ წელიწადნახევარი გამასწორებელი რაზმი ერთი წლის ჩათვლით. ძმებს პ. და ვლ. კოსტანტს, ნ. მაქაცარიას, გეორგელაშვილს, უჩამეიშვილსა და მგალობლიშვილს ოთხ-ოთხი წლით ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი წელიწად-ნახევრის ჩათვლით. შაპსონს და დესკოვსკის 5 წლის გამასწორებელი რაზმი წელიწადნახევრის ჩათვლით· ძნელაძეს—სამი წლის ციხე, ორი წლის ჩათვლით, მგელაძეს—ექვსი თვის ციხე ზოგიერთი უფლების ახდით და გამოძიების დროს ციხეში ჯდომის ჩათვლით (გაათავისუფლეს) პლატკოვსკი და კროიტერი სასამართლომ გაამართლა.

✦ მიწათა მოქმედების დეპარტამენტს ქუთაისის სამეურნეო შკოლის მართველისთვის 200 მანეთი გამოუგზავნია. ამ ამ ფულიდან ასი მანეთით შკოლამ სამეურნეო შინაარსის წიგნები და მეურნეობაში ხელსამწყო იარაღები უნდა შეიძინოს. წიგნები და იარაღი კურსებზე მოსიარულე მასწავლებლებს დაურიგდება უფასოთ. მეორე ასი მანეთი კი კურსების მოწყობას უნდა მოხმარდეს ამ ზაფხულის განმავლობაში.

✦ „სასოფლო გაზეთის“ ცნობით ამ უკანასკნელ ხანებში გუბერნატორს 15 მომხმარებელი საზოგადოების წესდება დაუმტკიცებია.

✦ ქუთაისის სამეურნეო შკოლამ პეტერბურგიდან მოწოდება მიიღო მეხილობისა, მევენახობისა და მებოსტნობის გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის უფროსი კლასების ათამდი მოწაფეს განზრახვა ქონიათ ამ ზაფხულში აჭარასა, ან სვანეთში წავიდენ საექსკურსიოთ. მოწაფეებს თან გაყვება მასწავლებელი.

✦ სოხუმიდან კოწია ჩაჩავასგან კნ. დესპინე გელოვანის მეუღლის გადაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშა მივიღეთ.

✦ ბ. გელას რუსულიდან უთარგმნია და საცენზურო კომიტეტისთვის წაუდგენია ხუთმოქმედებიანი პიესა: „კოტრები“.

✦ სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო კომისიამ დაადგინა: —სავაჭრო-სამრეწველოებისა და ბანკების განცხადებანი განსაკუთრებით იბეჭდებოდეს: „პრავიტ. ვესტნიკში„ და „საგუბერნიო უწყებებში“.

✦ 16 ივნისს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან რუსეთის საკატორგო ციხეში გაიგზავნა 9 კატორგელი, მათშორის ზ. ჩიკვილაძე, რომელსაც 1905 წ. მოძრაობაში მონაწილეობის მიღების გამო 6 წლის კატორგა აქვს გადაწყვეტილი.

✦ ჭიათურიდან იუწყებიან, რომ მწარმოებელთა და მუშათა მოლაპარაკება, იმედია, კეთილათ დამთავრდება და ოთხშაბათ-ხუთშაბათიდან გაფიცულები მუშაობას შეუდგებიანო.

✦ ბათომში ალი ხაჯი-მამედ-ოღლიზე სასტიკათ უმოქმედნია ბალკანეთზე სამშობლო ოსმალეთის დამარცხების ამბებს, ჯავრით ავათ გამხდარა და მომკვდარა.

✦ ოდიშის სოფლებიდან რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო. კორესპოდენტები მოსავალს ემდურიან [illegible] წელს სიმიდის მოსავალი საშუალო, ნაკლები იქნებაო, იწერებიან.

✦ იმერეთის რამდენიმე [illegible] სოფელში [illegible]

✦ რეჟისორი ქორელის წინადადებით ბ-ნი [illegible] „[illegible] მანტიკოსების“ ლექსათ თარგმნას. პიესა მომავალ სეზონში დაიდგმება თფილისში.

✦ სწავლა-განათლების სამინისტრომ განკარგულება გასცა—ახალგაზდა მასწავლებლები მხოლოდ 1 წელს სამსახურს შემდეგ დაამტკიცონ ხოლმე თანამდებობაზეო.

✦ თფილისის ბუნებისმეტყველთა და აქიმთა მეცამეტე კრებაზე დასასწრებლათ უკვე 3000 კაცზე მეტი ჩაწერილა.

✦ ამა წლის ივლისში ქართული სამეურნეო საზოგადოება ქ. თფილისში კოოპერატიულ კურსებს მართავს. კურსები მოკლე ვადიანია და გაგძელდება სულ ათ დღეს 15—25 ივლისამდი. კურსებზე წაკითხულ იქნება ლექციები კოოპერაციის სხვადასხვა საკითხზე, ხოლო უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას. ლექტორებათ მოწვეული არიან როგორც რუსეთის ცნობილი ლექტორები, ისე ადგილობრივი ლექტორებიც. ლექციები განზრახულია სოფლის ინტელიგენციისთვის და უმთავრესათ იმათთვის, ვინც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ დაწესებულებათ, ან ასეთ ხელმძღვანელობას აპირობს. სამეურნეო საზოგადოება ეცდება სოფლიდან ჩამოსულ პირთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, რომ თფილისში ცხოვრება ათი დღის განმავლობაში ძვირი არ დაუჯდეთ. ამათ შეეძლებათ უფასოთ მოისმინონ ყველა ლექციისა (გადახდებათ მხოლოდ საანგარიშო ბლანკებში ათი შაურიდან ერთ მანეთამდი). საზოგადოებას ნაშოვნი აქვს 40 კაცისთვის უფასო ბინა და საშვალება ექნება ამ 40 კაცს სასმელ-საჭმელი მიაწოდოს დღეში არა უძვირეს 6 შაურის თითოს.

რადგანაც უფასო ბინისა და სალავათიან პირობით საჭმელ-სასმლის მიმღებთა რიცხვი განსაზღვრულია საზოგადოება სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგეობებს და იმ კერძო პირთ, ვინც სოფლიდან კურსებზე ჩამოსვლას მოისურვებს, შემოუთვალონ ეს საზოგადოებას (მისამართი: თფილისი. ბარიატინსკის ქ. 5 ქართ. სამეურნეო საზოგადოებას.) არა უგვიანეს 1 ივლისისა. თუ სოფლიდან ჩამოსულთა რიცხვი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა, უფასო ბინაზე დგომის უპირატესობა მიეცემა იმათ, ვისი განცხადებაც უფრო ადრე მოვა.

კერძო მსმენელთათვის ყველა ლექციებ-

## მიწის მობილიზაციის საკითხი აღმოსავლეთ საქართველოში.

(დასასრული იხ. „იმერ.“ 82 №).

იმგვარ დაწესებულებას, როგორიც არის საადგილმამულო კომისია, უფრო მეტი მოეთხოვება, თუ მისი მიზანია ადგილობრივი მკვიდრის ინტერესის დაცვა, შეაკაცობის გაწევა.

თუ რამდენათ აბუჩათ იგდებდენ ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესს უცხოელების დასახლების დროს ჭიაურაში, ერთ მაგალითს მოგითხრობთ გასაცნობათ.

ამ ოთხი წლის წინათ ჭიაურაში მდინარე მაწმისის პირას, რომელიც სიღნაღის მაზრას ზაქათალის ოლქისგან ყოფს, დასახლდა 40 კომლი ქიზიყელი სოფ. ჯუგაანიდან. სოფ. სახელათ „ცოდნა“ უწოდეს. მათ ეს ადგილი აელოთ იჯარით „ლესნიჩის“ ამაშუყელისგან 12 წლის ვადით. ამათ კიდევ მიემატა 24 კომლი იმერლობა კაბალიდან. მაგრამ, ბედმა უმტყუნა მაწმისელებს. ამათი დაბინავების ორ წელს შემდეგ ამ ადგილს ბედნიერება ეწვია და იხილა „ხოდოკები“. ესენი მოხიბლა ამ ადგილის ბუნების სიმშვენიერემ. მართლაც, ბუნებისგან ამგვარათ უხვათ დაჯილდოვებული ადგილი ბევრი არ მოიპოვება ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. იტყვის კაცი—ღმერთს თავისი კურთხეული კალთა სულ აქ დაუბერტყიაო. და ამისთანა ადგილი ვის არ მოეწონებოდა.

მაწმისელთა სამწუხაროთ ეს „ხოდოკები“ იყვენ სასახლის მეეტლებათ ნამსახურნი და ის დაწესებულება, რომელსაც აბარია „კულტუროსან“ ხალხის „უკულტურო“ ხალხში ჩასახლება, შეუდგა კიდეც საქმეს. აბა, ამათი გონება როგორ აიტანდა, რომ ეს სამოთხის მზგავსი ადგილი „უკულტურო“ ხალხის ხელში ყოფილიყო.

ჯერ იყო და „ლესნიჩმა“ მაწმისელებს მიზეზი მოსდვა, იმერლები რათ გაიამხანაგეთო; ამით ჩვენ შორის დადებული პირობა დაარღვიეთო. ამიტომ უნდა აიყაროთ აქიდანო. რადგანაც „ლესნიჩი“ აყრის მიზეზათ იმერლებს ასახელებდა, ისინი, რათა აყრის საბაბათ არ გამხთარიყვენ, ადგენ და ისევ უკან კაბალში გადასახლდენ. ახლა სხვა მიზეზი დაუსახელა „ლესნიჩმა“,—თქვენ ნება არ გქონდათ შიგ ჩამოსახლებისაო, მაგ პირობით არ მომიცია თქვენთვის ადგილი იჯარით, მანამ ძალით აგყრიდეთ, ნებით გირჩევნიათ აქიდან წასვლაო.

ბევრი ქალამანი გაცვითეს უიღბლო მაწმისელებმა სხვადასხვა პირთან და და წესებულებაში სიარულით; ყველას თავის გაჭირვებას შესჩიოდენ და შველას სთხოვდენ, მაგრამ, ამაოთ—მათი ნამდვილი მოსარჩლე და დამხმარე არავინ გაჩნდა. საადგილმამულო კომისიასაც ბევრჯერ მიმართეს დახმარებისთვის, ხოლო მისი დახმარება უნაყოფო იყო.

ყოფილ გუბერნატორს ლოზინოლოზინსკის, როცა მან მაზრის დათვალიერების დროს გზათ მაწმისელებს გაუარა, ისინი მის ეტლს წინ გადაუდგენ და შესჩივლეს თავისი უბედურობა: „ჩვენ აქიდან ცოცხლები არ წავალთო, ან სად უნდა წავიდეთო, თუ ჩვენი სამსახური საჭირო აღარ არის ხელმწიფისთვის, ბარემ უბძანეთ ახლავე თქვენს სტრაჟნიკებს აქვე თქვენ წინ დაგვხოცონო“. გუბერნატორი საქმის გაცნობას დაპირდა; მაგრამ, ვერც მან დასდო მათ იარას მალამო.

ადმინისტრაცია ყოველდღეს კარებს უკაკუნებდა—აიყარეთო! მაწმისელები კი აყრისთვის დროს თხოულობდენ იმ იმედით, იქნება, ღმერთმა გადმოგვხედოს და დრო შეიცვალოს, ან ჩვენი მშველელი ვინმე გამოჩნდესო, მაგრამ არც დრო იცვლებოდა და არც მშველელი სადმე სჩანდა. ადმინისტრაცია არ სცხრებოდა, იერიში იერიშზე მიქონდა მათზე, იქვე ორი-სამი ვერსის მანძილზე დ. ლოგოდეხში მდგომი პლასტუნების ძალით აყრას ემუქრებოდა. მაწმისელებს კი გაგონილი ქონდათ, რომ პლასტუნებს ხუმრობა არ უყვართ; შედრკენ, იწყეს თითო-ოროლათ აქით-იქით გაფანტვა. ჯერ კიდევ ბევრი მათგანი წასული არ იყო, რომ მოვიდენ და გაშენება იწყეს მათ ნაოხარზე, სახელიც დაარქვეს „რომანოვსკიე ხუტორა“.

ასე გათავდა მრავალწამებული მაწმისელების საქმე.

გადმოსახლების სამართველოს არც შირაქი დაუტოვია უყურადღებოთ. მასში უკვე 4 სოფელია რუსებით დასახლებული, ორი დიდი ხნის გაშენებულია, საცა მცხოვრებთა რიცხვი--1900 სულამდი იქნება; აქ დასახლებული არიან ჯარში სამსახურ გათავებული, რომელთაც თავისი სოფლებისთვის „ცარსკოე-კოლოდეცი“ დაურქმევიათ; ორი ახლათ გაშენებულია ნოვო-ნიკოლაევკა და სვეჩინო, საცა - 1200 სულამდი მცხოვრები იქნება. უკანასკნელი სოფელი გაშენებულია ყოფილი გუბერნატორის სვეჩინის ინიციატივით. ამ ორი წლის წინათ კიდევ დასახლდა—20 კომლი რუსი შირაქში საავენტო ადგილში, რომელსაც სახელად „კუპრები“ ქვიან.

თფილისის მაზრაში 1905 წლიდან რუსებმა გააშენეს სახაზინო ადგილებში შემდეგი სოფლები სართიჭალის საბოქაულოში: პავლოვსკოე, ალექსეევკა, გეორგიევსკოე; ყარაიაზის საბოქაულოში: მიხაილოვსკოე, ტატიანოვსკოე, ვიოკოვო. მაზრაში 1905 წლამდიც მრავალი სოფელია გაშენებული რუსების მიერ, რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ შევუდგებით.

ბორჩალოს მაზრაში 1905 წლიდან (თუ არა ვცთები) მხოლოდ ერთი სოფელი გაშენდა რუსებისა ყალამშიის ადგილზე; 1905 წლამდი კი საკმაო რიცხვი, დუხობორებისა, მალაკნებისა და მართმადიდებელ რუსებისა დასახლდა აქ. დღეს რუსობა აქ მცხოვრებთა 6°/0 შეადგენს.

თათრებს, სომხებს, ნემცებს და ბერძნებს, 1905 წლიდან ორას დესეტინაზე მეტი მაზრაში შეუძენიათ შემდეგ ადგილებში: ბარონ კუჩენბახს—ნ. ორბელიანისგან ადგილი „საფარლო“ ზომით—810 დესეტინა და 800 საჟ. (ამ ბარონს ახლა 10,000 დესეტინა აქვს ბორჩალოს მაზრაში ქართველ მემამულეთაგან შეძენილი), ჯალალ-ოღლელ სომხებს—ძმ. ქობულოვებისგან ადგილი „ფინაზაური“-კი სისხანა ზომით—1838 დესეტინა და 880 საჟ. თათრებს და სომხებს—გ. ორბელიანისგან ადგილი „ამამლო და ბეზაკლო“ ზომით—3468 დესეტინა და 150 საჟ.; თათრებს—გ. ორბელიანისგან ადგილი თრიალეთზე „აგრიყარა“ ზომით—600 დესეტინა; ეკატირინეფელდელ ნემენცებისგან შემდგარ ამხანაგობას—ნ. ორბელიანის ადგილი „ასან-ხოჯალო“, ზომით—359 დესეტინა და 2268 საჟ. ვაჭრობით სახელ. სათ.-აზნ. ბანკში. ოფრეთელ ბერძნებს—სახელ.-სათ.-აზნ. ბანკისგან დ. მელიქიშვილის სეული ადგილი „ცოპი“ ზომით—369 დესეტინა და 1825 საჟ. სომხებს—ორბელიანის ქვრივისგან ადგილი „ლოქი“ ზომით—2000 დესეტინამდი.

რასაკვირველია, ქართველ სემამულეთაგან არა ქართველებზე გაყიდული მამულების სია ჩემ მიერ ჩამოთვლილით არ განისაზღვრება. 1905 წლამდი დიდძალი მამული აქვთ შეძენილი: გერმანელებს, სომხებს, ბერძნებს, რუსებს, მანთაშევს, არამიანცს, კუჩენბახს და სხვებს. ოდესღაც დიდმემამულეს, თ. ნ. ვ. ორბელიანს (პოეტის ვ. ორბელიანის შვილს) იმოდენა ადგილიც კი აღარ აქვს, რომ საფლავათ ეყოს.

ბევრ შემთხვევაში საადგილმამულო კომისიამ ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი და გამბედაობა, როცა უცხოელები ადგილობრივ მკვიდრს ხელიდან მიწას აცლიდენ და ამით მათ ცარიელზე სტოვებდენ.

გადაჭრით შეიძლება იმისი თქმა, რომ უცხოელების მიერ დაკავებული ადგილების ნაწილის შენარჩუნება შესაძლებელი იყო, კომისიას რომ მეტი სიფხიზლე გამოეჩინა.

ჩვენი მიზანი იყო, დაგვენახვებია იმათთვის, ვისაც საქართველოში მიწის მობილიზაციის საკითხი აინტერესებს, სურათი ამ მობილიზაციისა დღევანდლამდი; რამდენათ შევძელით, ჩვენი სუსტი ძალით ამ დასახული მიზნის შესრულება, ამის პირუთვნელი მსაჯული ის მკითხველი იყოს, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს.

**ნიკო ტ—ძე.**

...ფასი ღირება 2 მან. ან თითო ... (1—2 საათი 1 აბაზი.

...ის კურსებისა: 1 კოოპერაციის ...ება, 4 საათი (ქართულად) ...ს. რ. ვახვახიშვილი. 2. სასოფ... ...ნეო კოოპერაცია, 8—12 საათი ...)—ა. ა. ევდოკიმოვი. 3. წვრილი ...ს დაწესებულებანი, 6—7 საათი. ...)—ა. ა. ორლოვი. 4. ანგარი... ...საქმის წარმოება წვრილი კრედი... ...პერატ. დაწესებულებებში—12 ს. ...) ქ. პ. კანდელაკი. და ა. მ. ... 5. მომხმარებელი საზოგადოე... ...6 საათი (რუსულად) ა. ა. ორ... 6. კოოპერატიული მოძრაობა ...ოში—4 საათი (ქართულად)— ...თელაძე, 7. ჩვენი ეკონომიუ... ...რება და კოოპერაცია—3 საათი ...)—დ. ვ. ვაჩნაძე.

# სამართლო.

**...შთა-ტელეგრაფის საქმე".**

(...იხილე „იმერეთი" 82 №-ი).

...16 და 17 ივნისის სხდომა.

...მოწმეთა დაკითხვა.

...ჩვენებაა: ქუთაისის პოლიცმეისტ... ...ნდობილობით მოწმე წავიდა ...ის ბინაზე. უჩამეიშვილი შინ ...ყვდა. უთხრეს, ახალ სენაკში ... მაგრამ აღმოჩნდა რომ უჩამეი... ქუთაისშია და ხშირათ დადის „ლონდონში". მოწმემ სასტ... ...ნში" ნახა ს. კორძაია, რომელ... ...ოჩნდა ფოშტის ყალბი „ბლანკე... ...წერილები. კორძაიასვე ჩვენებით ...დის სასტუმრო „იმპერიალში" ...შეიპყრობს თალაკვაძეს, რომელ... ...აჩნდა ყალბი ვექსილები და წე... ...ხელმოწერილი „სიმონ". ჩემი... ...თხვაზე: ვინ არის ეს „სიმონიო", ...ძე უპასუხებს—ეს არის სიმონ ...ხოვი, რომელიც თფილისში ...მბსო, იმავე დღეს შეიპყრეს ...ბული უჩამეიშვილიც და ამათი ... კონდუქტორი გორდეზიანი.

...ე ჩემინავა ერთი ტუსაღისგან გაი... ...ამ საქმეში გორდეზიანთან ერთად ...ეობას ღებულობს აგრეთვე ს. ..., რომელიც თფილისში ცხოვ... ...ს. კალატოზოვის სახელით და ...ც მალე შეიპყრეს.

... პოლიც. ტერ-ანტონოვი აჩვე... ...რომ მას ქუთაისის ფოშტა... ...რაფის უფროსმა მათვეევმა შე... ...ა ფოშტაში სიყალბის ჩადე... ...ნობები, რაშიც ბრალს სდებდა ... მოხელეს უჩამეიშვილს, რომ... ...პყრობაც პოლიცმეისტერმა ჩემი... ...მიანდო. მათვეევი ამბობს, რომ ... თუ არა სიყალბე ქ. გროდნო... ...ისულ ცნობას ფულის უკან და... ...ის შესახებ და აგრეთვე აქ გა... ...„ბლანკსაც" ეჭვი უჩამეიშვილ... ...ტანა, რაც ქუთაისის პოლიცმეი... ...შეატყობია.

...მე თ. ქდენტი ამბობს, რომ რო... ...ციხეში იჯდა გორდეზიანთან ერ... ...ესმოდა, როგორ ჯავრობდა გორ... ...ი, რომ სრულიად უდანაშაულოთ ...დაადვა თაყაიშვილს უჩამეიშვი... ...ვონებით.

...ძე ამბობს, რომ ის 1910 წ. ...ციხეში და ესმოდა, რომ თაყაი... ...დასცინოდენ მის ამხანაგათ წოდებუ... ...ები, რომ ის, თაყაიშვილი, სრული... ...ალოთ ისჯება ციხეში.

...ივ ექსპერტთა მოწმობით აღმოჩნ... ...მ ვექსილზე ხელმოწერილი არა ...ლაძის ხელს, და უფრო წააგავს ...ვექსილის ტექსტსო.

... თერთმეტ საათზე სხდომა შე...

**16 ივნისის სხდომა.**

...მოწმეების დაკითხვას შემდეგ, ლა... ...ობს ბრალმდებელი. მისი სიტყვით ...პროცესში არ ურევია არც ერთი, ...ც იყოს გათავისუფლების ღირსი ...თხოვს—ყველას მიუსაჯონ უდი... ...სასჯელი, რადგან ასეთი დანაშაუ... ...ის უთხრის სახელმწიფოსო. მისი ...ით საქმის მეთაურები არიან ჯაყე... ...მაქაცარია, ქიქოძე და კორძაია.

...სათითაოდ ყველა ბრალდებულის ...მდეგ შესაფერ ბრალდებას აყენებს. ...შეეხება დამნაშავეთ კროიტერს, ...ღებელი მისი სასჯელის შემსუბუქე... ...თხოვს, დანარჩენი კი დაისაჯონ ...ეთა დებულების 1 ნაწ. 303,925 ...მუხლის ძალით.

...შტა-ტელეგრაფის წარმომადგენელმა მათვეევმა წამოაყენა ბრალდებულების წინააღმდეგ 28.000 მანეთის სამოქალაქო ძიება. შემდეგ ამისა სიტყვა ეკუთნის იოს. მაქაცარიას დამცველს ვექ. ბარათაშვილს, რომელიც ახასიათებს რა დღევანდელ ბრალდებულთა წასულ მდგომარეობას, ამბობს, რომ მათი დანაშაული არავითარს საშიშ რამეს არ წარმოადგენსო და თხოულობს სასამართლოს წინაშე მათთვის სასჯელის შემსუბუქებას 134 და 135 მუხ. სასჯ. დებ., როგორც დამნაშავეთა, მაგრამ, როგორც შემნანებელთ.

შემდეგ ლაპარაკობს შ. მესხიშვილი, რომელიც ყოველ ბრალდებას ს. ჯაყელს ახვევს და ამბობს: ჯაყელი რომ არა, არცერთი დღევანდელი ბრალდებულთაგანი დამნაშავეთა სკამზე დღეს არ იჯდომებოდა და სხვა...

ისიც თხოულობს ქიქოძისთვის სასჯელის შემსუბუქებას 134 და 135 მუხ. სასჯ დებ. შემდეგ ილაპარაკეს დანარჩენმა ვექილებმა.

უკანასკნელი სიტყვები ეკუთნოდა ბრალდებულთ, სათითაოდ თითქმის ყველამ ილაპარაკა, რას შემდეგაც სასამართლომ კატეგორიათ დაყოფა მოახდინა ყველა ბრალდებულთადმი წამოყენებული ბრალდებისა და განაჩენის დასადგენათ სათათბიროთ გავიდა ნაშვადღების 2 საათზე. მეორე დღეს 18-ს დილის 5 საათზე გამოიტანეს განაჩენი, რომელიც იბეჭდება ახალ ამბავში.

პ. შენგელია.

# ფილოლოგია და... ბ-ნი როზაქიძის ლექცია.

ბ-ნ გრ. რობაქიძის ლექციაში: „რუსთველის შემოქმედების" შესახებ ყველაზე უფრო საყურადღებო და ჭეშმარიტი აზრი შემდეგი იყო: „ვეფხის ტყაოსანი" ქართველთათვის სრული terra incognita არისო. რათ არის ასე? რათ უნდა იყოს ჩვენთვის terra incognita ჩვენი სათაყვანებელი დიდება? ბევრ რამეზე ილაპარაკა ბ-ნმა რობაქიძემ თვის ლექციაში, ხოლო საჭიროთ არ სცნო განემარტებია ეს საკვირველი მოვლენა. ჩვენ-კი გვეგონა, რომ ლექციისთვის უმთავრესს საჭიროებას წარმოადგენდა სწორედ ამ საკითხის გამორკვევა...

გვეგონა, რომ ბ-ნი რობაქიძე მიუთითებდა ძმენელთ ამ მოვლენის ჭეშმარიტ მიზეზზე: რამე საგნის **ცოდნისთვის** საჭიროა მისი **შესწავლა**, ჩვენ-კი ჩვენი სათაყვანებელი დიდება **არ შეგვისწავლია** სავსებით, არა გვაქვს ჯერ არც ისტორიული, არც შედარებით ლიტერატურული, არც ფილოლოგიურ-ლინგვისტური ცოდნა „ვეფხის-ტყაოსნისა" და უკვე ვეჭიდებით ამ მხატრული ნაწარმოების ანალიზის რთულ საქმეს შიშველი განყენებით—ესტეტიური პრინციპების საშვალებით... გვეგონა, ბ-ნი რობაქიძე დაიცავდა წმინდა მეცნიერულ პოზიციას საგნის ყოველმხრივი შესწავლის საჭიროებისას, მიუთითებდა მსმენელთ და განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზდობას ამ საჭიროებაზე და კეთილათ მოიხსენიებდა პეტერბურგელსა და მოსკოველ შკოლებს, რომელთაც პირველათ ჩაუყარეს საძირკველი ამ უტყუარ საიმედო პოზიციას.

წინააღმდეგ ჩვენი მოლოდინისა, ბ-ნი რობაქიძის ლექცია სწორეთ ცალმხრივი, უკიდურესად განყენებითი ესტეტიური ლექცია ამოჩნდა. ეს თავისთავათ არ შეადგენს კიდევ არავითარ შეცოდებას: თვით ესტეტიური შესწავლა „ვეფხის ტყაოსნისა" არ არის ჯერ სრულებული, და ყოველი ახალი შრომა ამ დარგში მადლობით მისაღებია. მაგრამ საკვირველი, გაუგებარი და საწყენი ლექციაში ის იყო, რომ ბ-მა რობაქიძემ არ იკმარა თავის საკვლევათ დარგი წინდაწინვე დასახულ ესტეტიურ საზღვრებში, გადასცილდა ამ თვის კომპეტენციის საზღვრებს, თვის ესტეტიური ცალმხრივობა პრინციპათ აღიარა და პირდაპირ გაილაშქრა მეცნიერული შესწავლის მრავალმხრივობის წინააღმდეგ.

მოკლეთ რომ ვსთქვათ, ბ-მა რობაქიძემ გაიმეორა სწორეთ ის აზრები, რომელიც გამოსთქვა ორი წლის წინათ ვაჟა-ფშაველამ („განათლება", 1911 წ., ოკტომბ.): ფილოლოგს ნება არ აქვს შეეხოს „ვეფხის ტყაოსანს", მას „არ აქვს უნარი გაიგოს და დააფასოს ხელოვნური ნაწარმოები, არ იცის, როგორ იწერება ხელოვნური ნაწარმოები საზოგადოთ, ერთი სიტყვით ვერ შეუგნია შემოქმედების პროცესის თვისება, ხასიათი"... ბ-მა რობაქიძემ პირდაპირ განაცხადა: მარს ვერ მოეთხოვება ესტეტიური განცდა მხატვრული ნაწარმოებისაო.

რამდენათ პრიმიტიულია ასეთი მსჯელობა! ფილოლოგს არ შეუძლია მასთანვე ესტეტი იყოს!? ვინ ან რამ დაარწმუნა ბ-ნი რობაქიძე, რომ პროფ. მარი ასეთი „უესტეტო" მშრალი მეცნიერია? იქნება, იმ მისმა ნაწარმოებმა („Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ барсовой кожѣ"), სადაც მარი არჩევს-რა სიყალბეს და ორიგინალობას „ვეფხის ტყაოსნის" ზოგიერთი ტაეპისას, სწორეთ ამ ესტეტიურ შთაბეჭდილების პრინციპს მიმართავს და პირდაპირ ამბობს: ასე მშვენიერათ დაწერილი ტაეპი შეუძლებელია ყალბი იყოსო! ან იქნება ამ „უესტეტობას", მარისას მოწმობდეს თვით სტილი, ენა მისი: მოხდენილი, ლამაზი, ძლიერათ გამომეტყველი და ამასთანავე ყოველთვის მეცნიერული ჰ რეალური ჭეშმარიტების მსდევი?—არა, წინააღმდეგ ვაჟა-ფშაველისა და ბ. რობაქიძის აზრისა, ყველა ნაწარმოები პროფ. მარისა გვიჩვენებს, რომ ამ ჩვენს სასიქადულო თანამემამულეში მშვენიერათ შეერთებულან შორს -მჭვრეტი მეცნიერი და ღრმათ განმცადი მხატვარი,—ფილოლოგოსი და ესტეტიკოსი...

ვინ უნდა დაუჯეროს ამ აპრიორულათ წამოყენებულ დებულებას, ვითომც ფილოლოგოსი ვერ შესძლებს ესტეტიურათ განცდას მხატვრული ნაწარმოებისას,—თუნდაც ამ დებულებას წამოაყენებდენ ისეთი, ვსთქვათ, ავტორიტეტები, როგორც ვაჟა-ფშაველა და გრ. რობაქიძეა. პროფ. მარის მაგალითი წინაწარ ყოვლისა აქარწყლებს ჭეშმარიტებას ამგვარი დებულებისას, ამტკიცებს მის ძირითად სიყალბეს... სამწუხაროა მხოლოდ, რომ ისეთი საყვარელი პოეტი როგორც ვაჟა-ფშაველა და ცნობილი ლექტორი როგორც გრ. რობაქიძე, საქვეყნოთ იწყებენ სჯა-ბაასს იმ საკითხებზე, რომლისაც თითქმის არაფერი გაეგებათ. ცხადია, რომ მათ მარის ნაწერები ან სრულიად არ წაუკითხავთ, ან თუ წაუკითხავთ, ვერ მიმწვდარან მის შინაარსს და, თუ-კი მიწვდენ შინაარსს, ფილოლოგიისადმი რაღაც სიძულვილის გამო ჟინიანობენ, ცილს სწამებენ მარს, უსამართლოთ მიაწერენ მას იმას, რაც არ უთქვამს და აცლიან იმ ნიჭს, რომლითაც იგი უხვათ დაჯილდოვებულია, ღვთის წყალობით. თუ ეს ასე არაა, მაშ რით ავხსნათ ეს საოცარი დაწამება, რომ მარს ესტიტიური გრძნობა აკლია, საოცარი დაწამება, თითქო მარს „ვეფხის ტყაოსნის" ორიგინალობა არა სწამდეს და შოთა რუსთველი უბრალო მთარგმნელათ, და არა შემოქმედ ჰენიოსათ, მიაჩნდეს. აი, რას ბძანებს ვაჟა-ფშაველა: „თუ-კი ბ-ნ მარს ახლავს ეს უნარი პოეტური ნაწარმოების დაფასებისა, აქვს ალღო, რისები რომ „ნიუხს" ეძახიან, უნდა ეგრძნო „ვეფხის ტყაოსნის" კითხვის დროს დიდი ნიჭის ძლიერება და ძლიერება შემოქმედებისა, რომლითაც ეს თხზულება თავიდან ბოლომდია გაჟღენთილ-გაცისკროვნებულიო"... ბ-მა რობაქიძემ გვამცნო: მარის შეხედულობა რომ მივიღოთ, უნდა დავეთანხმოთ (?), რომ რუსთველი ჰენიოსი არ არისო-..

ახლა ვალაპარაკოთ თვით პროფ. მარი: „въ немъ („ვეფხის ტყაოსანში") грузины **по праву** видятъ **высшее** проявленіе **своего генія** (Т. и Р., т. XII, стр. I);

„**Безподобный художникъ** слова Шота Руствели, силою лишь чарующей музыкальности стиховъ **сумѣлъ придать національный грузинскій обликъ** персидской повѣсти и сдѣлалъ ее національнымъ достояніемъ" (Исторія Грузіи, стр. 33, 1906). (კურსივი ყველგან ჩემია ნ. ჯ.)

სად არის ამ სიტყვებში ან „ვეფხის-ტყაოსნის" ესტეტიური შთაბეჭდილების სიძლიერის უარყოფა, ან მისი ორიგინალობის, ნაციონალობის უარყოფა, ან მისი ავტორის ჰენიოსობის უარყოფა?! რათ სჭირდებათ ნეტავი დამახინჯება სახელოვანი მასწავლებლის აზრებისა. მარი მხოლოდ სიუჟეტის შეთვისებას ამტკიცებს სპარსულიდან, რაც, როგორც თვით ბ-ნ რობაქიძემ ბძანა, სრულიად არ მოასწავებს მთელი პოემის ორიგინალობის უარყოფას.

ბ-მა რობაქიძემ მთელი დასასრული თავის ლექციისა მოანდომა გაქარწყლებას იმ საშიშ ანტი-პატრიოტულ შეხედულებათა „ვეფხის ტყაოსანზე", მის ორიგინალობისა და ჰენიალობის უარმყოფელთა, რომელნიც მან მარსა და ხახანაშვილს მიაკუთვნა. არავითარი ასეთი შეხედულება არ გამოუთქვამთ არც მარსა და არც ხახანაშვილს, და არ ვიცი, საიდან მოელანდა ყველა ეს ბ-ნ ლექტორს. ლექტორის ხმა გრგვინავდა და სჭექდა და ამსხვრევდა... მის—მიერვე შექმნილ ყალბ დებულებათ.

ზემო-თქმულს შემდეგ მივანდობ მკითხველთ ბ-ნ რობაქიძის ფილოლოგიურ ცოდნათა დაფასებას...

წმინდა მეცნიერებისაკენ, ბატონებო, წმინდა მეცნიერებისაკენ...

ნიკ. ჯორჯიკია.

# ჩვენი მასწავლებლები.

11 ივნისის „Рус. Слово"-ში წავიკითხე, რომ ქ. კურსკიდან საექსკურსიოთ გაემგზავრა იაპონიას 50 და ამერიკას 67 სოფლის მასწავლებელი.

ამ ამბავმა მწარეთ ჩამაფიქრა საზოგადოთ ჩვენი სახალხო მასწავლებლების მდგომარეობაზე.

„მასწავლებელი—სულია შკოლის"-ო, გვესმის ყველგან და ეს სრული ჭეშმარიტებაცაა; მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობას თვით არ აქვს მასწავლებლის სული ჩადგმული.

მიზეზი ბევრია: ჩვენი მასწავლებლების უუფლებობა, ჩვენი მასწავლებლების წარმოუდგენელი გაჭირვება ნივთიერი მხრით და ბევრი სხვა. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენი მასწავლებლები და ნაცვლათ იმისა, რომ თავის სავალალოსა და სატირალ მდგომარეობას ჩაუკვირდენ—ისინი უგრძნობლათ განაგრძობენ მონურათ ქედის მოხრას, მუდმივ ძილს, ოფლით მოპოვებულის დაკარგვას და ვინ გადმოთვლის კიდევ რამდენ სივაგლახეს...

თითქმის ყველა ქვეყნის მასწავლებელთა შორის არსებობს კავშირი, ყველგან შეერთებული ძალღონით იბრძვიან მასწავლებლები უფლების მოპოებისთვის და თანდათან მათი და შკოლის საქმე სწორს ნიადაგზე დგება. ჩვენში კი არა, და არა! არავითარი საერთო აზრი, საქმე, ვალი არ არსებობს ჩვენი მასწავლებლისთვის და მოკეთენი დახმარებისა და შველის ნაცვლათ, ხელ-ფეხს უბოჭვენ მათ.

საზოგდოთ ექსკურსია მასწავლებლისთვის საუკეთესო იარაღია თვითგანვითარებისა, და თუ სხვაგან ხერხდება ამის მოწყობა—ჩვენში რა დანაშაული მიუძღვისთ: რომ ეს საქმე არ ხერხდება?!

ჩვენში რამდენია ისეთი მასწავლებელი, რომელსაც შავი ზღვა არ უნახავს, ქართლი კახეთი არ მოუვლია, თფილისისთვის თვალი არ მოუკრავს! შორს წავედი,—თუ გნებავთ,—რამდენია, ვისაც ქიათურა, ტყიბული არ უნახავს, არ უნახავს გემი, ქარხანა, შეიძლება მატარებელიც არ ენახოს?!

თუ რუსეთის მასწავლებლები იაპონიასა და ამერიკსა მიემგზავრებიან—ჩვენ ჩვენი ქვეყანა მაინც ვერ დავათვალიეროთ?

...საჭიროა ჩვენი მასწავლებლების დაახლოვება, დაკავშირება, რომ შეერთებული ძალით ილაპარაკონ გაქელილ უფლებაზე, საშკოლო საკითხებზე, თვითგანვითარებაზე, ექსკურსიებზე და ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხზე.

საქვეყნო, კეთილი საქმე, აზრი ერთსა და ორს დაბადებია პირველათ და აქაც ასე უნდა მოხდეს. ალბათ კიდევა გვყავს „ნამდვილი მასწავლებლები", ვინც ჩვენ მასწავლებელთ სამარცხვინო მდგომარეობიდან თანდათან გამოიყვანენ და საერთოვალათ საერთო შრომას, შეკავშირების აუცილებლობას დააკისრებენ...

განი.

# მშრომელი ხალხი.

— 26-ე დღეა გარტმან და ამხ. საუნაგრო ქარხანაში გაფიცვაა. „ხაზეინმა" პეტერბურგში, რო ველარ იშოვა, ახლა მოსკოვის გაზეთებში აცხადებს და იწვევს ახალ მუშებს გაფიცულთა ადგილზე, მაგრამ, როდესაც მოსკოველებმა გაიგეს რაშიც იყო საქმე, უარი შეუთვალეს.

— ორი თვე თავდება, რაც პუტილოვის ქარხნის მხატვართა გაფიცვა სწარმოებს.

გაფიცულთა კრებაზე გაარჩიეს ოსტატ-სერგეევის წინადადება, რომ მისულიყვენ მასთან მოსალაპარაკებლათ, მაგრამ რადგან არავითარ ხეირს არ გამოელოდნენ და სერგეევს მხოლოდ „ხელფასის შემოკლება და ნამუშაევრის დაწუნება" სწადნია, უარყვეს მისი წინადადება და დაადგინეს,—განაგრძონ გაფიცვა, ვიდრე ყველა მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

# რუსეთი.

**სღვდელოების ჯამაგირი.** ღვდელი დეპუტატები უკმაყოფილო არიან საბლერის უარყოფითი დამოკიდებულებით პროგრესისტთა და ოკტომბრისტთა პროექტისადმი, რომელშიც განსაზღვრული ჯამაგირის დანიშვნას მოითხოვდენ სამღვდელოებისთვის.

ღვდლებს განსაკუთრებით ის აღელვებს, რომ სულ სხვაგვარი თავისებური შეხედულება აქვს საბლერს წესის აგების საფასზე. როდესაც სინოდში ირჩეოდა ოკტომბრისტების პროექტი და საბლერს მიუთითეს, რომ თვით სამღვდელოებას ცხვენია წესის აგებისთვის ჯილდოს მიღებაო, ბ. ობერ-პროკურორს სრულიად დამშვიდებულს მიუგია:

— არ მესმის, რა არის აქ სასირცხო, მეეტლეს ქირაობენ, თუ სადმე წასვლა უნდა კაცს და ქირასაც აძლევენო!

**სათათბიროს გარშემო.**

როგორც სათათბიროდან მთავრობასთან დაახლოვებული პირები ამბობენ, მოსალოდნელია შემოდგომაზე სულ აღარ გოიწვიონ სათათბიროვო.

**„ახალი სენი".**

დეპუტატობის თანამდებობაზე თავდანებება ქრონიკულ ავადმყოფობათ გადიქცა: ჩერნიგოველი დეპუტატი როზენბახი თავს ანებებს დეპუტატობას, რადგან ახლანდელი სათათბიროს მუშაობას არავითარი ნაყოფი არ მოსდევსო.

**„რევოლიუციონერი" უბნის ზედამხედველი.**

კიევში სამსახურიდან დაითხოვეს უბნის ზედამხედველი კოცენჩუკი, რადგან ნება-დაურთველ შკოლის აღმოჩენის შესახებ მოხსენებაში სწერდა: „გაამრავლეთ შკოლების რიცხვი და ხულიგანობა თავისთავათ მოისპობაო".

**შრომის სხვერპლი.**

ლომზალში, რიგის ახლო წისქვილში გასკდა საფქველი დოლაბი. სასიკვდილოთ დაიჭრენ მემანქანე და მისი თანაშემწე.

**მუშების პროტესტი.**

შეგნებულმა მუშათა ჯგუფმა პროტესტი გამოუცხადა აბრამოვიჩის გაცემისთვის ინგლისის მთავრობას. ხელს აწერს 25 კაცი.

**აქიმობა გაყინვით.** პროფ. ბახმეტიევი ახლო ხანში შეუდგება ვირთხების გაყინვას. მაიმუნთა მრავალ გზის გაყინვას შემდეგ, ადამიანებზე უნდა სცადოს გაყინვით აქიმობა ჭლექის, კიბოსი და სხვა ავათმყოფობათა. განზრახული აქვს თხოვნით მიმართოს სათათბიროს წევრებს, რათა უფლება მისცენ სიკვდილით დასასჯელებზე სცადოს ამგვარი აქიმობა.

# უცხოეთი.

**მთაშავეთის გაჭირვება.** მთაშავეთი ამ ჟამათ უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. ამ სახელმწიფოს მთავრობამ იტალიასა და რუსეთს სთხოვა სკუტარის დათმობის დროს დაპირებული სესხი მოგვეცითო.

**სერბიის სკუპჩინა.** სკუპჩინას სესია გაიხსნა. მთავრობამ მოითხოვა, რომ სხდომები ხალხის დაუსწრებლათ ხდებოდეს. პაშიჩმა დეპუტატებს სერბია,—ბულგარეთის უთანხმოების ამბავი გააცნო. ორი მინისტრი სამსახურიდან გადის და კაბინეტის შემადგენლობა შეიცვლებაო, სთქვა მან.

**ბულგარეთი.** 13 ივნისს მინისტრებს ხანგრძლივი კრება ქონდათ. კრებაზე გადაწყვიტეს რამდენიმე საყურადღებო საქმე. რუსეთის ელჩმა ნეკლიუდოვმა დანევი ინახულა. ბულგარეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ სერბიის მთავრობა პაშიჩს ნდობას გამოუცხადებს. ფიქრობენ—სერბიის მთავრობის ასეთი მოქმედება ბულგარეთ-სერბიის უთანხმოებას ბოლოს მოუღებსო. ბულგარეთმა აგითვალისწინა ეს გარემოება და გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ნავაჭრო სახლი გოკიელის ძ-ბი ქუთაისშ

მიღებულია: შაბიამანი ინგლისის, გოგირდი დაფქვილის საუკეთესო ხარისხის, ნამდვილი „ვერმორელის" მანქანა, გოგირდის საბერველები და ქაქმენის ს...

იყიდება ზომიერ ფასათ.

ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე

გაიხსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოვება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულ... სახლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოვება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები, ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ... ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.


წყვიტა სერბიის წინააღმდეგ არავითარი ზომები ჯერ არ მიიღოს: სერბიასა და ბულგარეთს შორის მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, მაგრამ ახლა ისევ განახლდა.

**რუსეთის სერბიელებისა და ბულგარლების შეტაკება.** ზლეტოვაში ბულგარლებსა და სერბიელებს შეტაკება მოუხდათ. ამ შეტაკების გამო რუსეთმა თავის ელჩებს ბელგრადსა და სოფიაში აცნობა: ბულგარეთისა და სერბიის მთავრობას წინადადება მიეცით, რომ მიიღონ ზომები მომავალში შეტაკების თავიდან ასაცილებლათო.

**ესად-ფაშა.** ალბანეთის ბეიამებთან ესად-ფაშამ პირობა დასდვა, რომლის ძალითაც ის ალბანეთის პოლიტიკურ საქმეთა ხელმძღვანელათ უნდა გამოცხადდეს, რაზეც პორტამ თანხმობა უკვე განაცხადა.

**ოსმალეთი და ბულგარეთი.** ოსმალეთის რწმუნებული ამ რამდენიმე დღეს შემდეგ სოფიას წავა, ხოლო ბულგარეთის რწმუნებული--სტამბოლს. ბულგარეთმა გადაწყვიტა ოსმალეთთან დიპლომატიური მოლაპარაკება გაახლოს და სტამბოლის ელჩის თანამდებობაზე დასანიშნავი საკანდიდატო პირი წარუდგინოს.

---

### საიუბილეო სამახსოვრო წიგნაკი ბათომის ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა 1913 წ. შედგენილი ქალაქის მდივნის ს. მესხის მიერ.

წიგნაკი სუფთად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, იგი ბევრს საინტერესო და გამოსადეგ ცნობას იძლევა ბათომის ცხოვრებიდან. დაწვრილებითაა აწერილი, როგორც ქალაქის კულტურულათ ზრდა ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ისე ვაჭრობამრეწველობის განვითარება, მცხოვრებთა გამრავლების ცნობანი და სხვა. მოგვყავს ზოგიერთი საგულისხმო ცნობა.

წელს 50 ხმოსანი აურჩევიათ; აქიდან 23 ქართველია, 7 რუსი, 9 სომეხი, 5 ბერძენი, 4 პოლონელი დ 2 გერმანელი. ხმოსანთა უმეტესობა ვაჭრებია. ბათომში სამოქალაქო წესი 1888 წელს შემოუღიათ; ამ წელში ქალაქის თვითმართველობას შემოსავალი ქონია—52 ათასი მანეთი, გასავალი—30 ათასი. მიმდინარე წელს კი ქალაქის თვითმართველობის შემოსავალი უდრის 545 ათას მანეთს და გასავალიც ამდენივე. 25 წლის წინათ ე. ი. 1888 წელს ქალაქს სწავლა-განათლების საქმეზე დახარჯვია 2300 მანეთი, წელს კი—54,482 მ. ამ ჟამათ ქალაქს ქონია $5^1/_2$ მილიონ მანეთად ღირებული უძრავი მამულები, რომლის საიჯარო გადასახადიც 21.610 მანეთს იძლევა. ქალაქის წყალსადენი იძლევა შემოსავალს 50 ათას მანეთს, გასავალი 29,550 მანეთს უდრის. 1912 წლის განმავლობაში ზღვით ბათომში შემოუტანიათ 2 მილიონ ნახევრის საქონელი, გაუნიათ 5 მილიონ ნახევრისა. აქიდან: ლობიო გაუტანიათ 43 ათასი მანეთის, სიმიდი $1^1/_4$ მილიონი მანეთის, კვერცხი 28 ათასი მანეთის და სხვ. 1888 წ. ბათომში ყოფილა 3000 მცხოვრები, 1907 წლამდი კი მცხოვრებთა რაოდენობა 33,543-დი ასულა.

ამ პატარა წიგნაკში ბევრი სხვაც საყურადღებო ცნობაა მოყვანილი. ასეთი წიგნაკის გამოცემა მისაბაძი მაგალითია ჩვენი ქალაქის გამგეობისთვისაც. **გ.**

## შემოწირულობა

ქუთ. ქალთა საზოგად. გამგეობა დიდს მადლობას უცხადებს იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და შემოწირა მათ მიერ გაწყობილ სეირნობას 28 აპრილს ნივთად თუ ფულათ:

ვლადიმერ წერეთელი—3 მ; კაპი წერეთლისა—2 მ., სერგეი ბახტაძე 2 მან. პატუ ხუნდაძისა—ოდიკალონის ფლაკონი, 1 საფერფლე, 1 საშე, 1 რგოლი ხელსახოცისა; ელენე ბახტაძის ქალი—4 ბურთი, ხუთი მარაო ქაღალდის, 1 ქალის პორტმონე, ქალის ხელთათმანი; ნატალია ქორქაშვილის ქალი—ერთი მოქარგული ბალიშის პირი; მ. ვარდოსანიძის ქალი—ბალიშის პირი; ელენა მიქელაძის ქალი—ჭიქის სარეცხი; ნინო ქიქოძისა—3 სართულიანი ხილის ვაზა; პ. ჟვანიას ქალი—1 მან.; ე. წერეთლისა—2 თევში კედელზე დასაკიდებელი; 2 ქუდი ბავშის; ოლგა ბახტაძისა—ბავშის საბანი; კ. სანიკოვისა—2 ტილო ჩაის; ე. ნინოშვილისა—არშია ჩაის ტილოსთვის, მ. ჭეიშვილისა—ჩაის ტილოს არშია; მ. ლორთქიფანიძისა—ერთი ვაზა ბურაბისა; ს. ჭუმბურიძისა—ყვავილის ორი ვაზა; ვ. ჭარხალაშვილისა—საპურეზე გადასაფარებელი; მარიამ თაყაიშვილისა—6 ნაქარგი სალფეთქი და ერთი პირსახოცი; ლ. ბიბინეიშვილის ქალი—სასუხრეზე გადასაფარებელი 2; ე. იადამოვისა—კაცის წინდები; რ. სიდავას ქალი—ხილის 8 ხელსახოცი ბავშის პერანგი; ე. ა. თუმანიშვილისა—საპირფარ. სუფრის საფენი არშია. ე. კლდიაშვილის ქალი—პირსახოცი; ე. ოცხელის ქალისაგან—ხილის 6 ხელსახოცი; მ. ქუთათელაძისა—სუხრის გადასაფარებელი; ნ. ქელბაქიანისა—ბალიშის პირი; ე. ქელბაქიანის ქალი—ჩაის ხელსახოცი. რ. კაკაბაძისა—ქალის პერანგი; ნ. რაზმაძისა—ვარდის 2 ვაზა; ნ. მგელაძის ქალი—ვარდის 2 ვაზა; ა. ერისთვის ქალი—ვარდის 2 ვაზა; ა. არჯევანიძისა—ვარდის ორი ვაზა; კ. ლორთქიფანიძისა—2 კედლის თეფში; ქლენტისა—ნაქსოვი ხელსახოცი; ც. არჯავანიძისა—2 გობელინი; ა. მღებროვის ქალი—ერთი პირსახოცი; ფ. კაჭარავას ქალი—1 ცხვირსახოცი. ქ. ლეჟავასი ერთი ფარფუქი; გ. კაკაბაძისა—პერანგის გასაწყობი; დ. ახვლედიანისა—ერთი ყავის ფინჯალი, 1 ვერცხლის კოვზი; 6 ხილის დანა; ს. გერარდისა—1 მანეთი; მ. ნიჟარაძისა—1 მანეთი; კანდელაკისა—1 მანეთი; ქეთო ყაჭეიშვილის ქალი—ერთი ყავის ფინჯალი ლამბაქით; ოლ. იოსელიანის ქალი 1 ვაზა და მურაბის 6 ფინჯალი; ო. წერეთლის ქალი—ბავშის მოქარგული 3 საყელო; ლ. ქელბაქიანისა—პერანგის გასაწყობი; ოლგა ჩუბინიძის ქალი—ბალიშის პირი; ელენა შნეიდერისა—3 გირვ. კამფეტი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით სამედიატორო სასამართლოში გამოვიწვიო გაზ. „იმერეთის" კანტორის გამგე ვასო ჭელიძე, რომელმაც პირადი ინტერესის გამო ნება არ მომცა გაზ. „იმერეთზე" ასოთ-ამწყობათ მემუშავა. ვსთხოვ ბ. ჭელიძეს თავისი მხრით დაასახელოს ორი კაცი ორი დღის განმავლობაში დღეიდან ამ წერილის დასტამბვისა. ჩემის მხრით ვასახელებ: ჭიჭიკო ვარდოსანიძეს და გ. გორდაძეს. თავჯდომარეს თვით არჩეული მოსამართლენი აირჩევენ. აი ეს სასამართლო გაარჩევს ჩვენში მომხდარ ყოველივე უთანხმოებას და განაჩენი კი გაზეთის ფურცლებზე უნდა დაიბეჭდოს.

ასოთ.-ამწ. **ანტონ ხელაძე.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**


გამოცდილი მოანგარიშე

## დაეძებს

მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში.

იკითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.

ვღებულობ ყოველგვარ საკერავს

### თეთრეულს

ქალისა და კაცისას.

გეგუთის (ჭავჭავაძის) ქუჩა ჭანტურაიას სახლი № 23.

სოფიო ზვიადაძისა.


## რკინის გზა

| ქუთაისიდან მიდის. | | ქუთაისს მოდის. | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ. | **ოფილისიდან:** | სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სად.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით. |
| **ბათომს:** | სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სად.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ. | **ბათომიდგან:** | ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ. |
| **ფოთს:** | საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად. | **ფოთიდან:** | საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. |
| **შორაპანს:** | საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ. | **შორაპნიდან:** | საავ. 9 ს. 31 წ. დილ. |
| **ტყიბულს:** | სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ. | **ტყიბულიდან.** | სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დღლ. |


## გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს მის ნეჩაე-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „бемское"

რკინეულობის მაღაზიაშ იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ. ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.



## Имѣете дѣло съ самымъ авторомъ,

но не алчущими наживы издателями.

### великія тайны гипноза!

НАША СИЛА ВНУТРИ НАСЪ!

ХОТИТЕ ЛИ ВЫ ПОДЧИНЯТЬ ЛЮДЕЙ СВОЕЙ ВОЛѢ, ВЛАДѢЯ ВЕЛИКОЙ ТАЙНОЙ СИЛОЙ?

Я, Психо-Френологъ Х. М. Шиллеръ-Школьникъ, даю дѣйствительно полный курсъ гипнотизма, большой томъ, въ богатомъ съ золотымъ тисненіемъ переплетѣ **вмѣсто 12 р. только за 2 р.**

Мой курсъ заключаетъ въ себѣ много цѣннаго и новаго въ области гипнозма. Мое произведеніе ведетъ къ самоусовершенствованію, учитъ влiять и дѣйствовать на окружающихъ посредст. внушенія въ состояніи бодрствованія.

Мой курсъ содержитъ въ себѣ 98 важнѣйшихъ главъ. Онъ учитъ вліять, дѣйствовать и внушать безъ усыпленія. Только въ моемъ курсѣ имѣется обширный одѣлъ чтенія чужихъ мыслей.

Въ немъ широко разработаны отдѣлы: лѣченіе посредствомъ открытаго внушенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, неврастеній, головной боли, безсонницы. недержаніе мочи, заиканія и проч.

Самовнушеніе. Быстрое предотвращеніе страха. Укрѣпленіе памяти и устраненіе разсѣянности.

Произведеніе это замѣчательно и рѣзко отличается отъ всѣхъ прочихъ изданій этого рода своей общепонятностью. По отзывамъ лицъ, пользующихся этимъ курсомъ гипнотизма, онъ раскрываетъ новый невѣдомый міръ, поднимаетъ духъ и настроеніе, даетъ силу, мощь, ведетъ къ счастью и довольству. Роскошное зданіе съ множествомъ рисунковъ, съ портретомъ автора и знамѣнитѣйшихъ медіумовъ. Для прохожденія моего курса не требуется никакихъ особенныхъ знаній. Онъ приноситъ неоцѣнимую пользу мужчинамъ и женщинамъ, старымъ и молодымъ, богатымъ и бѣднымъ, сильнымъ и слабымъ, здоровымъ и больнымъ. Мой курсъ вышелъ новымъ значительно увеличеннымъ, исправленнымъ и дополненнымъ изданіемъ.

Въ курсѣ заключается слѣдующее содержаніе: 1) Введеніе. 2) Что такое гипнотизмъ. 3) Исторія гипнотизма 4) Чѣмъ долженъ быть гипнотизеръ 5) Качество гипнотизируемой личности. 6) Средства и методы гипнотизма. 7) Дѣйствіе гипнотизера на гипнотизируемую личность. 8) Гипнотическій сонъ, 9) Пробужденіе. 10) Что чувствуетъ и испытываетъ усыпленный посредствомъ гипнотизма. 11) Отгадываніе чужихъ мыслей. 12) Какъ развитъ способность чтенія мыслей. 13) Методъ и способы чтенія мыслей. 14) Что способствуетъ удачнымъ экспериментамъ. 15) Что мѣшаетъ удачнымъ опытамъ. 16) Какъ влiять, дѣйствовать и внушать безъ усыпленія въ состояніи бодрствованія. 17) Опыты открытаго внушенія. 18) Лѣченіе посредствомъ открытаго внушенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, неврастеніи, головной боли, безсоницы, недержаніи мочи, заиканія и проч. 19) Самовнушеніе. 20) Быстрое предотвращеніе страха. 21) Укрѣпленіе памяти и устраненіе разсѣянности. 22) Совѣты намѣревающихся публично демонстрировать опыты гипнотизма. 23) Побѣда мысли. 24) Пріемы и упражненія. 25) Путь къ счастью и довольству и пр. пр. Прошу не сравнивать съ московскими и иными лубочными изданіями, я даю за 2 р. вполнѣ законченный курсъ, никакихъ добавочныхъ лекцій и расходовъ не требуется. Брошюра съ отзывами и благодарности ученыхъ, высокопоставленныхъ и знатныхъ особъ прилагается при всякомъ заказѣ. Здѣсь за неимѣніемъ мѣста для убѣжденія приводятся лишь нѣкоторые.

## Читайте!

Священикъ от. Василій Спѣвачевскій, почт. ст. Улановъ, Под. губ.: „Высокочтимый господинъ Х. М. Шиллеръ- Школьникъ. Книгу вашу **„Гипнотизмъ"** получилъ и прочелъ и искренно благодарю. При чтеніи книги мнѣ нѣкоторымъ образомъ открылась завѣса тайнъ человѣческаго существа, которыя до извѣстной границы могутъ быть постигнуты и подвластны чѣловѣку. Я глубоко увѣренъ въ гуманности добрыхъ намѣреніяхъ Вашей дѣятельности и поэтому остаюсь съ искреннымъ уваженіемъ священникъ Василій Спѣвачевскій".

Василій Өедоровичъ Кремповскій Новороссійскъ, контора инженера Щепеновича пишетъ: Присланнымъ Вами курсомъ гипнотизма очень интересуюсь, занимаюсь и благодарю васъ, чувствуя себя гораздо лучше. Мой братъ также пользуется Вашимъ курсомъ и также очень доволенъ. Съ совершен. почт. Кремповскій.

В. В. Королевъ, Савино. „За курсъ гипптоизма ничего, кромѣ безграничной благодарности и сердечнаго „спасибо" сказать не могу и лучшей благодарности не придумаю. Книга поражаетъ ясностью изложенія и цѣностью ея содержанія. При всемъ этомъ она значительно и роскошно иллюстрирована въ богатомъ переплетѣ и такая минимальная цѣна, какъ 2 р., какую Вы назначили, свидѣтельствуетъ о Вашемъ благомъ намѣреніи широко распространить эти драгоцѣнныя для всякаго свѣдѣнія и совѣты среди интересующихся, въ чемъ отъ души желаю Вамъ полнаго успѣха. Пребываю съ высокимъ почтеніемъ къ Вамъ В. В. Королевъ".

Ермолай Алексѣевичъ Фроловъ. гор. Илекъ, Уральской обл., пишетъ: Глубокоуважаемый г. Шиллеръ-Школьникъ. Вашъ курсъ гипнотизма осчастливилъ меня, я достигъ блестящихъ результатовъ по гипнотизму. Я вылѣчилъ многихъ отъ различныхъ болѣзней и дурныхъ привычекъ. Никакой кладъ и богатство не могутъ сравниться съ пріобрѣтенными мною отъ Васъ познаніми. Я остаюсь искренно благодарный и всегда готовый рекомендовать Вашъ курсъ, который можетъ принести большую пользу всѣмъ. Покорный слуга Фроловъ".

Еслибы Вы захотѣли, для убѣжденія, обратиться къ кому либо изъ вышепоменованныхъ лицъ, то приложите къ письму конвертъ съ Вашимъ адресомъ и наклееной маркой. Восторженные отзывы, и благодарности отъ частныхъ лицъ получаются ежедневно; у насъ ихъ множество, подлинники предъявляются во всякое время всѣмъ желающимъ у насъ въ конторѣ. Но кромѣ частныхъ отзывовъ и благодарностей, вотъ что пишетъ солидный с.-петербургскій оккультный журналъ „ИЗИДА", издаваемый извѣстнымъ ученымъ знатокомъ оккультизма И. К. Антошзвскимъ во второмъ номерѣ журнала за ноябрь 1910 г.: „Гипнотизмъ Х. М. Шиллеръ-Школьника, изящно изданная книга знакомитъ читателя, какъ теоріей, такъ и практическими пріемами гипнотизма. Среди множества сочиненій и лекціи по гипнотизму эта книга заслуживаетъ особеннаго вниманія, благодаря весьма популярному изложенію сущности гипнотизма. Несмотря на сравнительно невысокую цѣну эта книга вполнѣ замѣняетъ дорого стоящія изданія американ. институтовъ".

Полный курсъ со всѣми приложеніями высылается за 2 руб. Деньги присылать переводомъ, можно марками, только заказнымъ письмомъ, въ темномъ конвертѣ, плотно оклейвать края мелькими марками, Наложеннымъ платежомъ па 30 к. дороже. Писать свою фамилію и адресъ ясно и разборчиво.'

Нашъ адресъ: **Варшава, Психо-Френологу Х М. Шиллеръ-Школьнику Пенкная 25**

## აბანო

### ძმ. ყორყოლაძეებისა

მიმართეთ პირდაპირ

**15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.**

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზე. იქვე სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.


სტამბა „ძმობა" კაზაკოვის ქუჩა სახლი № 17.